

# სპორტიელი

ქართული სპორტი

საერთო უკვე გამოცემას 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 26 აპრილი 1998 №150 (685) ფასი 40 თეთრი

ბაიოზ  
თალაგაძე  
ბილგოდან



## ფერნანდესმა უკვე იბანავა ბასკები თავს არ გაიბიჟებენ?

გუშინდელ „სარბიელში“ დაგვირდით და დღეს ორივე სიტყვით გაგაცნობთ ბასკეთის დედაქალაქს. ბილბაო 1300 წელს დაუარსებიათ და იმდროინდელი ქალაქის საკმაო ნაწილიცაა შემორჩენილი, რომელიც უდავოდ ყველა სხვა უბანზე ლამაზია. თანამედროვე არქიტექტურული ძეგლებიდან კი ყურადღებას „გუგენჰაიმის“ მუზეუმი იმსახურებს. მის აშენებაზე დიდი ღირსება იყო დაიხარჯა, თუმცა მისი გახსნის მერე ბილბაო, რომელსაც მსოფლიოში ბევრი არაფერი იცნობდა, ტურისტების დიდძალ რაოდენობას იზიდავს და ესპანეთის სხვა ქალაქებს ამით საკმაო კონკურენციას უწევს. ამის გარდაც ბევრი ღირსშესანიშნაობაა მთებსა და ოკეანეს შორის გაშენებული ბილბაოში, თუნდაც უმშვენიერესი მუნიციპალური თეატრი რად ღირს!

თვით ბასკები კი ნადავლ ჩვენსავით გულდას და კარგი ხალხია. ერთი მაგალითი: გუშინ დილით „დინამო“ „სან მამეს“ სტადიონს ეწვია, მაგრამ დაგვიმელი მოთელვა სადამოსთვის გადაიღო, მურთავ ხურცილაკამ კი მანამდე გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც ცოტა ქვემოთ. ამის მერე ბილბაოელითა საწვინელი ბაზაზე „ატლეთიკის“ ვარჯიშზე და ფერნანდესის პრესკონფერენციაზე დასწრება გვსურდა. სტადიონიდან ბაზამდე კი 25 კილომეტრია. პირა, ერთ-ერთმა ჩვენმა აქ-

ურმა კოლეგამ რომ გაიგო, წასვლაზე გეპოვებით, იმავნაშ საკუთარი მანქანა შემოგვთავაზა, ოთხი კაცი წაგვიყვანა, თხუთმეტობლე წუთით ადრე მისულები დასალევადაც დაგვპატიფა და ზრდილობიანი უარის შემდეგ (სამუშაო გვექონდა) ნამდვილად შეწუხდა.

ახლა კი ხურცილას პრესკონფერენციასა და დღის სხვა საფეხბურთო (და არა მარტო) მოვლენებზე.

ბატონმა მურთავმა ბერე კითხვას უპასუხა, მოკლედ კი აი რა თქვა: „სტადიონის და მინდერის ხარისხი ძალიან კარგია, იმედა, თამაშის ხარისხიც ასეთივე იქნება; 41 ათასი მაყურებლის ზეწოლას ჩვენი გუნდის ანალგაზრდულობის მიუხედავად მინც გავუმლებთ, თუმცა კი გაგვიჭირდება; ქართველები დაცვით თამაშს დიდად არ ვწყალობთ, ჩვენ შეტევა გვიყვარს; ქართულ ფეხბურთს დღეს ძალიან უჭირს, „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შემთხვევაში შეიძლება აღმავლობის ეტაპი დაიწყოს.“

ამის შემდეგ, როგორც უკვე ვითხარით, „ატლეთიკის“ ბაზისზე გავწვიეთ. მოვლანს, სადაც ფეხბურთელებს უნდა ევარჯიშათ, უამრავი გულმშობიკარი შემოხვეოდა. თავიანთი კერპების გამოჩენისას ბავშვან-დიდიანად ისე იხუტულეს, მოულოდნელობისგან შეეხებთ. ყველაზე მეტად გერეროს დანახვა გაუხარდათ. „იუ-

ლენ, იულენ“ — გაკვირდნენ რეპორტიანი მისურებით თავმოწონე პატარა ბასკები და ავტოგრაფს ითხოვდნენ. თვით ბაზა კი ჩინებული რამაა. გასაკვირი არცაა, „ატლეთიკი“ ასე კარგად რომ ბურთაობს.

სათიანი ვარჯიშის შემდეგ ყველანი ფერნანდესის პრესკონფერენციას ველოდით. ბასკთა ფრანგი მწვრთნელი დროულად კი მოვიდა, მაგრამ მოვებოდიშა, წყალს გადავივლებ და მერე დაველაპარაკებოთ. ასეთი რამ კი, როგორც გვითხრეს, ბილბაოში ყოფნისას პირველად გააკეთა.

პრესკონფერენციაზე კი ეს თქვა: „მეტად საპასუხისმგებლო და მძიმე მატჩი გველის, „დინამო“ ნებისმიერ სტილში შეიძლება გვეთამაშოს. ჩვენთვის მთავარია, ჩვენი ფეხბურთი ვითამაშოთ, ლამაზი, ტექნიკური, „ატლეთიკის“ საკადრისი. თუმცა უნდა ვეცადოთ, ქართველებმა რომ თბილისში შეძლეს, იმ ტემპში ვიბურთაოთ და მატჩი გამარჯვებისკენ წარვმართოთ. 1:0-იც ხელს ვეაძლევს, ამიტომ თავს არ გავივივებთ და დიდი ანგარიშით მოგებას არ შევეცდებით, კონტრშეტევებზე რომ არ წამოვივებთ.“

ამის მერე ფერნანდესმა ქართველ ფურნალისტებთან სამსსოვრო ფოტო გადაიღო და დავემშვიდობა.

საღამომდე კი ქალაქში გავიარეთ და ერთ-ერთ ბარში შესულეხს ბარმენი „დინამოს“ გამარჯვების შემთხვევაში მთელი ღამე ქეფს შეგვიბრდა.

ცხრის ნახევარზე თბილისელებმაც ივარჯიშეს მხოლოდ აშვეთია დარბოდა მცირე ხნით ცალკე, თუმცა, ხვალ ნადავლ ითამაშებსო — დაგვაიმედეს.

ბოლოს, მეტოქეთა სავარაუდო შემადგენლობები.

„ატლეთიკი“ — ი. ენებერია, ლაკრუზი, ალკორტა, გარსია, ლარასაბალი (ან ორლასი), იმასი, ალკისა, გერერო, ხ. ენებერია, ურსაისი, ესკერო.

„დინამო“ — გვარამბე, მასარაძე, გუზუა, ველაძე, დიდავა, კობაშვილი, კინაძე, ცხიტიშვილი, მუჯირი, აშვეთია, ხომერიკი.

მიუხედავად იმისა, რომ გოჩა ჯამარაულმა გუნდთან ერთად ივარჯიშა, მისი თამაში მინც ერთობ სათუთა.

მატჩს კი უნგრელი მსაჯები განსჯიან.



საიდრესოდ ბილბაოს „ატლეთიკი“ დიდი მონდომებით ემზადა



დიდი დედენე და ბელგოური „ანდერლენტი“ მარი პრისკსა და სორვატულ „ოსიეკე“ მალლა ახტენენ

უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი  
საპასუხო მატჩები. 25 აგვისტო

სპორტბი (შპიტიკარია)	გეპრენი (ბაღვინი)	1:2 (4:1)	UEFA CUP
0:1 კარლენი (6ს.კ.), 0:2 კარაგინისი (43), 1:2 რეი (83ბ)			
შესტიორი (უპრანინა) — ციურიხი (შპიტიკარია)	3:2 (0:4)		
0:1 ბარტლტი (19), 1:1 ორბუ (25), 1:2 ბარტლტი (28), 2:2 ორბუ (69), 3:2 შტოლცერსი (90)			
რაპიდი (ავსტრია) — ომონია (კვიპროსი)	2:0 (1:3)		
1:0 პერაფი (9), 2:0 ვაგნერი (70)			
როტორი (რუსეთი) — ცრენა ზეზუდა (იუგოსლავია)	1:2 (1:2)		
1:0 ზერნოვი (59), 1:1 ოგინენოვიჩი (70), 1:2 დუდინი (80)			
აპო (საბერძნეთი) — უპრანცეპაროში (უნგრეთი)	4:0 (2:4)		
1:0, 2:0, 3:0 ნიკოლაიდისი (8, 13, 26), 4:0 დონისი (63)			
ბრატკერი (ავსტრია) — პასა (ფინეთი)	3:0 (0:0)		
1:0 ლუსოვი (51), 2:0 გრიმი (54), 3:0 დრეხსელი (90)			
ცსკა (ბულგარეთი) — მიოლდე (ნორვეგია)	2:0 (0:0)		
1:0 პეტკოვი (39), 2:0 სტანკევი (60)			
უპრანბაჰე (თურქეთი) — გიოტეპორები (შპიტიკარია)	1:0 (1:2)		
1:0 ბალიჩი (64)			
სილვესტროვი (დანი) — მურა (სლოვენია)	2:0 (0:0)		
1:0 სორენსენი (63), 2:0 ლარსენი (64)			
პაოკ (საბერძნეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია)	0:0 (0:2)		
ინტერი (სლოვაკეთი) — სლაგია (ჩეხეთი)	2:0 (0:4)		
1:0 ბაბინი (12), 2:0 ოვაი (52)			
შალკინისი (ლიტვა) — ბრანი (ნორვეგია)	0:0 (0:1)		
ტრავაზონსპორი (თურქეთი) — ვისლა (პოლონეთი)	1:2 (1:5)		
0:1 სანი (53), 0:2 კულავიკი (62), 1:2 ჩიშკერი (67)			
ოცელუული (რუმინეთი) — პეილე (დანი) 0:3 (0:3)			
0:1 ოხენი (21), 0:2 გრალუნდი (35), 0:3 ვაელი (53)			
სტრომსპოლსკი (ნორვეგია) — კაპოელი (ისრაელი)	1:0 (4:2 პენ.) (0:1)		
1:0 მიხელსენი (42)			
ანდერლენტი (ბელგია) — ოსინეპი (სლოვაკეთი)	2:0 (1:3)		
1:0 აარსტი (4), 2:0 სტოიკა (85)			
დინამო (რუსეთი) — პოლონია (პოლონეთი)	1:0 (1:0)		
1:0 ტერიოხინი (89)			
გალციო (შპიტიკარია) — კაილუკი (სლოვაკეთი)	1:2 (1:1)		
0:1, 0:2 ვუკო (41, 55), 1:2 ოლსონი (90)			
კილმარნოკი (შოტლანდია) — სიგმა (ჩეხეთი)	0:2 (0:2)		
0:1 პინცი (13), 0:2 მუხა (19)			

ინტერტოტოს თასის ფინალი  
საპასუხო მატჩები. 25 აგვისტო

სპორტბი (იუგოსლავია)	პერაფი (ბერმანია)	1:1 (0:1)	INTERTOTO CUP
1:0 ბრატკი (23), 1:1 ფრინგისი (61)			
რუსი (პოლონეთი) — ბოლონია (იტალია)	0:2 (0:1)		
0:1 კოლივანოვი (61), 0:2 სენიორი (90)			
პალენსია (საბერძნეთი) — ზალცბურგი (ავსტრია)	2:1 (2:0)		
1:0 ლუკარელი (17), 2:0 როში (35), 2:1 პუტერი (83)			

## ქალაქმა ვერაფერი იხეირეს

საფრანგეთში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი მშვიდლონობაში. ჩვენებურთა გამოსვლის შესახებ გუშინდელმა არაფერი ვიცოდით, გუშინ კი თურქეთში შევეხმიანეთ ნატო ნასარიძეს, რომელმაც გვამცნო, რომ ხათუნა ფუტკარაძემ თავისი საუკეთესო შედეგი კი გაიმორა, მაგრამ მერე პლეი-ოფში წააგო და 32 უძლიერესში ვერ მოხვდა. რაც შეეხება თავად ნატოს, იგი პირველი ორი დღის შემდეგ ლიდერობდა

კიდეც, მაგრამ მესამე დღეს პირველივე წრიდან გამოეთიშა ასპარეზობას. მისი თქმით, იმდენად დაბალი შედეგი ჰქონდა, რომ საბოლოო შედეგებისთვისაც არ დაუცვლია.

ნატო ნასარიძემ კიდეც ერთხელ გვამცნო, რომ ხათუნა ქერივიშვილი ამერიკის ნაკრებში ვერ გადავიდა და ამას წინათ აშშ-ის ღია ჩემპიონატზეც საქართველოს სახელით იასპარეხა.

## გერმანია ჰაზეკი ბაღარჩა

ბატუტისტა მსოფლიოს თასის თაობაზე შევიცარიაში სულ რაღაც სამი დღის წინათ რომ დამთავრდა, ჩვენი ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტ ბატონ ოპარ ლონდაძის თბილისში დაბრუნებისთანავე შევეხმიანეთ. მან კი რუსულან ხოფერიას წარმატებებთან ერთად ასეთი დასალონებელი ამბავიც გვამცნო — თურმე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ბატუტისტ ანა დოლინაძეს გერმანია გვართმევს.



დომინიკ ჰაზეკი, ჩეხეთის პოკეისტა ნაკრებისა და ნპლ-ს კლუბის „ბუფალი სეიბრის“ შუუვალი მეკარე, რომელიც ორჯერ პოკეის ეროვნული ლიგის უძვირფასეს მოთამაშედ იყო აღიარებული, პრადის აღმოსავლეთით გზატკეცილზე საკუთარი „ფერარით“ გზიდან გადავიარდა, მაგრამ არ დაშვებულა.

ჩეხური გაზეთი „პრავო“ წერს, რომ ჰაზეკმა მრუდ მოსახვევში ვერ მოახერხა საჭის რიგინად დამორჩილება და შობლიურ ქალაქ პრადუბიცესთან ახლოს ტრასის გაერთ ამოჰყო თავი. ეს ჩეხეთის დედაქალაქიდან 60 კილომეტრში მოხდა.

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, სახელგანთქმული მეკარე სრულიად ფხიზელი გახლდათ, ხოლო მისი მანქანა ისეა დამტვრეული, რომ დაახლოებით 100 000 კრონის ანუ 3000 დოლარის ღირებულების რემონტი დასჭირდება.

იხილეთ მერვე გვერდი

REUTERS ბრუნსელიდან

საბავშვო 3 ტური მონაწილეები

პიტბულს დაგვისადა!

მოედანზე განსაკუთრებით დავით ნოზაძის მებრძოლი ვარჯაა აღსანიშნად და თუ კი „კოლხეთმა“ დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, ამაში მან ლომის წილი დაიღწია...

მესამე ტურს ერთი არასასიამოვნო მოვლენაც თან დაჰყვა — ზუგდიდური ტერაქტი. „ლიდი“ — „ტორედოს“ გადაღებულ მატჩს კი მოვედებოდა გამომართება ოდნემ, ამ უბედურებებს და დაღუპულებს რა ეშველება...

ახლა კი ფეხბურთზე და მათი ეროვნული ჩემპიონატის შესამე ტურზე. ტურს კიდევ ერთი მატჩი მოისპოვება: „გორა“ — „დინამო“ ვერ ნაკრების უკრაინაში, მერე თბილისელთა ბასკეთში გამგზავრებამ შეიწირა, დანარჩენი ექვსი შეხვედრა კი ჩატარდა და საკმაოდ დაძაბულად...

ტური 21 აგვისტოს „მერანმა“ და „არსენალმა“ გახსნეს. აქამდე ორივე მათგანს თითო ქულა მოეპოვებინა, ბურთების შეფარდებაც ტყუპისცალივით მსგავსი ჰქონდათ და სატურნირო ცხრილშიც გვერდივით იმყოფებოდნენ. თითქოს უშეღავათო ბრძოლის მომსწრენი უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა, გუნდებმა მეტად უსახური თამაში აჩვენეს და არც ერთი მათგანი არ იმსახურებდა იმ შედეგზე მეტს, რითაც მატჩი დამთავრდა. წიწილებს შემოდგომაზე კი ითვლიან, მაგრამ თუკი თბილისელმა ტრანსპორტელებმა და არმიელებმა აქედანვე არ იზრუნეს ქულათა მარაგზე, ჩემპიონატის დასასრულს დასათვლელიც ბევრი არაფერი ექნებათ.

ტურის მთავარ შეხვედრად უდავოდ „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ უნდა მივიჩნიოთ. მატჩს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ზღვისპირელებს ქულა რაა, მისი აღება კი ვერ მოეზურებინათ აქამდე და პირველ ტურში სენსაციური საშინაო მარცხის მერე უცოდოდ ეცდებოდნენ საკუთარ გულშემატკივართა წინაშე რეაბილიტაციას. თავის მხრივ რკინიგზელებსაც უნდა გაემართლებინათ ევროსაგზურის სერიოზულად მოსურნე გუნდის რეპუტაცია და პრინციპში, მოახერხეს კიდევ. მატჩს რაც შეეხება, იგი გარდასავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ხან ერთი, ხან მეორე გუნდი მონაცვლეობით უტყვავდა მეტოქეს და მოწინააღმდეგეებმა საგოლე მომენტებიც ასე თუ ისე თანაბრად შექმნეს. საბრძოლო ფრე, რომ იტყვიან, ასეთ მატჩებზეა შედეგობრივად და „ლოკომოტივი“ კი მათე ეროვნული სერიოზული ფავორიტი.

დაიქნა „სიონი“. ალბათ, არავის ეგონა, გაიზარდასიონის ხელდასმული იმერლები თუ ასე განადგურდებოდნენ. ბოლნისში თამაში „სამეურაზს“ კი არა, შეიძლება „ლივერპულს“ გაუჭირდეს, მაგრამ მოულოდნელი ის გახლდათ, თითქოს და გამართული, დაწყობილი იმიჯის მქონე წყალტუბოელები რომ ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხდნენ. ყველაფერი „ბებერმა ხარებმა“ — ყიფშიძემ, პოზოინამა, ჯავახიშვილმა და ქობულაშვილმა გადაწყვიტეს, მათ აქტიურობას და კლასს ვერაფრით დაუპირისპირდნენ იმერლები და სატურნირო მდგომარეობაც გაიუარესეს. ამ შეხვედრის შემდეგ ერთი სასიამოვნო სიურპრიზის მოწმენიც შეექმნათ და ეს გაიზარდასიონის სახელთანა დაკავშირებული. მან მარცხი არც მსაჯს დააბარა, არც გულშემატკივარს — თავის გუნდს მომხდარის ანალიზისკენ მოუწოდებდა. სასურველია, სხვა ქართველმა მწვრთნელებმაც წყალტუბოელებს დამრიგებელი მიხედონ და მხოლოდ გუნდის გარეთ ნუ მოძებნიან დამნაშავეს.

ფოთელთა და ლანჩხუთელთა მატჩმა მთლიანად მასპინძლების უპირატესობით ჩაიარა. ექვეპარეშეა, ორი უფერული ტურის შემდეგ, კოლხთა ხელმძღვანელობა გვარანად შეაფუცუნებდა თავის ფეხბურთელებს და მათაც ფოთელებს რომ შეეფერებათ, ისეთი ცეცხლი დაანთეს...

ბარათი დაიმსახურა წმინდად სათამაშო სიტუაციაში (ბოლო იმედის ვარიანტის) და არა მსაჯთან კამათისთვის.

მაყურებელი ტრადიციისამებრ 500-1000 კაცის ფარგლებში ესწრებოდა თითოეულ მატჩს, გამონაკლისად „ბათუმის“, „სიონის“ და „მერანის“ გულშემატკივრები მოვევლინენ, სადაც შესაძამისად 3000, 2000 და 1500 კაცი ესტუმრა სტადიონებს. ბოლოს კი იმას ვიტყვი, რომ გუნდებში ერთი-ორი გამოხატვისი გარდა კვლავ თანაბარი დონეა. ვერაძე არ გამოჩენილა გამოკვეთილი აუტსაიდერი (სტრუქტურა ჩავარდნას მხოლოდ წინასასწავლო პრობლემებს თუ დავაბრუნებთ) და თუ „დინამოს“ და „ტორედოს“ („ლოკომოტივის“?) საპრინციპული ადგილებსთვის ბრძოლაში ვერაძის შეეცდებოდა. აი, ცხრილის ბოლოში მოხვედრისკენ არავინაა დახვეწილი.



გოჩაშვილი (№10) და გრიგოლ გვაზაგა: „გიტ ჯორჯია“ უპირატესად ყოფილია!

მეოთხე ტურამდე ერთი დიდი საფეხბურთო სპექტაკლიც გველის. ზურგის ქარი უუსურვით ჩვენს მარად ჩემპიონს ბასკეთში ზვილიში და მერე კი კვლავ უნდა შევედგეთ მათე ეროვნული ჩემპიონატის ციციბოს.

კონსტანტინე გომიზვილი

Table with 2 columns: მატჩი (Match) and მატჩის შედეგი (Match Result). It lists 4 matches with scores and goals.

Table titled 'სიმბოლოური ნაპარკი' (Symbolic League). It shows various football clubs and their symbols like a bear, a lion, and a bear.

Table with 3 columns: № (No), სულ (Total), შინ (Home), სტუმარად (Away). It shows statistics for 16 teams.

პირანი 0:0 არსენალი. მერანის: ნაჭყვია, ივანიშვილი (ჯიშარიანი 46), ე. აღადაშვილი (დავითიძე 34), ასპინძელი, დანელია, გენაძე, კ. კვიციანი, ციციშვილი, ბაქაძე (დავითიძე 40), ხუციშვილი, მესხი. სათადარიგო: ლომია, დევიძე, ქინჭარაული, ხარგვაძე.

სიონი 4:0 საგურალი. სიონი: დავაძე, ხარაძე, ხარაძე, შავიაშვილი, ყიფშიძე (დავითიძე 69), ბეგაძე, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, გოგოლაძე (პოზოინი 32), გაგუა, ჯავახიძე (ქობულაშვილი 69), მოსციშვილი. სათადარიგო: ე. ჯავახიძე, სამხარაძე, სტურუა, ლ. ქობულაძე (გ. ჯანიანი 61), გ. თევზაძე, კოლაშვილი, დ. მელიქიძე, თ. ნიჭიშვილი (ნიჭიშვილი 39), თევდორაძე, კ. ჯანიანი (მაგნიძე 63). სათადარიგო: ბობოხიძე, დარსაძე, ჯავახიძე, ფილიაშვილი. მატჩის მომენტები: თევდორაძე (17), სანიძე (66). მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი), ა. ორდენი (ორი), ლ. რაზმაძე (გორი); ზ. დარჩია (თბილისი). სფფ-ს დელეგატი: ე. ნაკელია.

თსუ 0:1 დილა. თსუ: ციციშვილი (21). თსუ: გვაზაგა, გ. ილიერიძე, ზამთარაძე (გ. ლუღუმური 46), თ. კობიაშვილი, კ. სანიძე (ქობულაშვილი 75), ციციშვილი, კაკუბაძე, მლორაძე, ნიჭიშვილი, მუმუნიძე (ნიჭიშვილი 73), როსტიაშვილი. სათადარიგო: ბათიაშვილი, თ. სულაძე, ი. სკირველი, დ. არჩვაძე. დილა: მდინარი, ფეხბურთელი, რ. ხაჭაბურთიძე, კ. სამხარაძე, ზ. გავინძე, ზ. ზარბაძე, მარცხაშვილი (შატავიშვილი 46), ციციშვილი (მოსციშვილი 75), კაიდარაშვილი, თაყაიძე, აბაშაძე (ბ. ჩიტაია 57). სათადარიგო: თ. ილიერიძე, აკოვანი, დ. მისურაძე, გულუშვილი. მატჩის მომენტები: გ. ჩიტაია (62), კაიდარაშვილი (65), შატავიშვილი (81). მსაჯები: გ. გვაზაგა (85). მსაჯები: ა. მალაშვილი, კ. გავინძე (ორივე ქუთაისი), ზ. დომიტი (თბილისი); ო. გუნთაძე (ლანჩხუთი). სფფ-ს დელეგატი: ვ. მახარაძე.

Table with 3 columns: სულ (Total), შინ (Home), სტუმარად (Away). It shows statistics for 16 teams.

ბათუმი 1:1 ლოკომოტივი. ბათუმი: მარცხაშვილი (27), ს. გომეზი (59). ბათუმი: ტოგონიძე, კანტიძე, ლომიძე, ს. მინაძე, მაქაძე (ფუტკარაძე 58), თორღაშვილი, მ. მახარაძე, ქიჭვიშვილი (ვერუხუცი 68), მაჭუტაძე, ტულუშო, რუსია (აფხაზა 42). სათადარიგო: მალაშვილი, გ. ლომიძე, მანანდია, ყუღეიშვილი, ლოკომოტივი: დავითიძე, ბალაშვილი, არსენაშვილი, ბარბაქაძე, თარნაშვილი, ხორცეშვილი (გ. ქორიძე 26), მარცხაშვილი, კ. ციციშვილი, კ. მელიქიძე, გ. დავითიშვილი (ქვარცხავა 85), მ. მინაშვილი (ბაქაძე 46). სათადარიგო: დომიტი, დავითიშვილი, მ. მინაშვილი. მატჩის მომენტები: რუსია (18), ბარბაქაძე (72). მსაჯები: თ. მალაშვილი (სურამი), ს. კახიანი, მ. ელიაშვილი (ორივე თბილისი); მ. დორსაშვილი (ქუთაისი). სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაძე.

კოლხეთი 3:0 გურია. კოლხეთი: ნოზაძე (32), 2.0 გვასალია (33), 3.0 ნიჭიშვილი (65). გიორგიძემ ვერ გაიტანა პენალტი (70). კოლხეთი: ქუთაისი, ქუთაისი (სხიბაშვილი 46), ტორჩინაძე, მ. ქობულაძე (ზამთარაძე 77), გიორგია, ლანდია, ანდუღიაძე, კალანდია, დ. ნოზაძე, გვასალია (შაველაძე 72), ნიჭიშვილი. სათადარიგო: ჩემბა, პაპაია, გიორგობიანი, კრასოსვი. მატჩის მომენტები: გიორგიძე, კაკაბია, კუკუღაძე, ი. ბუზრიკიძე, გ. კვეციანი (კვითაძე 78), ინიშვილი, თიბილაშვილი (ფეცურია 60), მელიქიძე, მახარაძე, ბუღულაძე (ნიჭიშვილი 77). სათადარიგო: ვარდანიძე, ლორია, იობიძე, პატარია. მატჩის მომენტები: კაკაბია (43). მსაჯები: მ. მალაშვილი, ვ. ჩოჩიაშვილი, ს. შალამაშვილი (ქარქაძე) (ყველა თბილისი). სფფ-ს დელეგატი: გ. ბატიაშვილი.

პიტ ჯორჯია 4:1 იზირია. იზირია: ნოზაძე (19), ს. გიგიაძე (22), 2.1 კ.0 გიგიაშვილი (53, 60), 4.1 გ. გვაზაგა (78). პიტ ჯორჯია: ტურაძე, ზ. მონთაშვილი, ქანჭაძე, ჯ. მუჯირი, თ. ბოკურია (ზ. გვაზაგა 77), აბაშაძე (ქობულაშვილი 88), ი. კაკაბია, ვ. მახარაძე, ლ. ნოზაძე, ვ. გიგიაშვილი, გ. გვაზაგა (ბ. ბოკურია 84). სათადარიგო: გულუშვილი, ლამაშვილი, პეტრიაშვილი, დოლოძე. იზირია: ა. ლაბაძე, ქობულაშვილი, მიქელაძე, გვეციანი, ს. გიგიაძე, ბრეგვაძე, ჩოჩიაშვილი, სულაძე (ო. ფაქაძე 76), ვ. გიგიაძე (ბაკურაძე 66), დარსაშვილი, მუმუნიძე (ივანიანი 66). სათადარიგო: ჩაიშო, სადილოანი, ნ. გიორგიძე, გ. ლურსმანიშვილი. მატჩის მომენტები: გულუშვილი (8), გ. გვაზაგა (30), ზ. გვაზაგა (83). მსაჯები: ლ. ფანიშვილი (თბილისი), გ. ცორცია (გულრიფშე), ა. სამხარაძე (სოხუმი); ე. სილაგაძე (თბილისი). სფფ-ს დელეგატი: გ. გავინძე.

# თბილისი ბორჯომი და სივნი უსახვი

კიევი მარცხი და სირცხვილიც მოვიტოვეთ. როგორც აღინიშნა მსგავს შერცხვენას, ამასაც ბევრის უთქმელად გადაყლაპავდა ჩვენი საფეხბურთო სამყარო, რომ არა გადასვლილი მთობინების ფილა და მასში ჩასხმული აუტანლად დიდი ულუფა. ყველა დიდ, მნიშვნელოვან მოვლენას უკეთ და უფრო თბილესურად შესაფასებლად დრო სჭირდება. ეგაა, ამ დროს ბევრი არ უნდა ვალოდინოთ და გადავამდამოთ თორემ, თათარიახნად სათქმელი დროულადგვა ნათქვამი. და მაინც, ერთხელაც კიევი მარცხი.



მოკლე დროში ვლადიმერ გუცაევმა ფეხბურთელებს ვერა შესაძინა

ლებს მხოლოდ ინდივიდუალური სკამები როდი დაუდგამთ — ჩინებული პრესისა თუ ვიპ-ლოჯიკ მოუწყვით და იქ მოსახვედრი სამსართულიანი ლიფტებიც პრესლოჯაში, რომელიც ვარე სამყაროსგან უზარმაზარი მუშებიათა იზოლირებული, ასორცილდაათამდე ინდივიდუალური მაგიდა, აქედან თორმცდაათამდე პირველი რიგში.

სხვა საქმეა, რომ ამ მაგიდეზე, ისიც თითოს გამოტოვებით, ორგანიზატორებმა თბილი „ბორჯომი“ დაგავხვედრებდა სატელეფონო საუბრისთვისაც ტარიფი, როგორც ორ საათში დავრწმუნდი, ხუთმაგი, საკუთარი შეხვედრებისამებრ დაგვიდგინეს. ლოჯას შვედეთი და, საბრენსკონფერენციო დარბაზიც ისეთი აქვთ ოლიმპიელებს, თავი გაეროს კონფერენციასზე გვეტონებათ. აქაც ინდივიდუალური სკამ-მაგიდა (ოღონდ დასაკეცი) და ყველანაირი პირობაა, ამ დეტალურების ხანაში კაცმა რესპონდენტთა ნათქვამის წიგნაკში ჩანიშნავს რომ უწვალებლად მოახერხოს.

**უპრადინული მოდელი თუ სხვა**  
ცოტა ხნის წინ (დროის შვედნება ქართველებს მართლაც რომ სხვაგვარი და დარდმანდული გვაქვს) ჩვენში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შექმნაზე ალაპარაკდნენ. რაღა ალაპარაკდნენ, როცა საამსაქმოდ საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულებაც გამოიცა. და მაინც, ლაპარაკზე შორს ეს საქმე ვერ გვჯერობით არ წასულა. თქმით კი ბევრი ითქვა. ჩვენში როგორც სწავლიათ, მაგალითადაც პირველი რიგში ახლო საზღვარგარეთის მაგალითი, კერძოდ კი უკრაინული მოდელი მოხმეს. რას ვგასწავლის უკრაინელთა გამოცდილება? ამაზე კიევიმე ნანახ-მოსმენილით მოგახსენებთ და მერე ისიც ვთქვათ ჩვენც ეს გზა მოგვაწვობს თუ ხსნა სხვა მხარესაა საქმე.

ალაღად ვთქვათ, უკრაინელთა სიტყვა და საქმე ფეხბურთის სახელმწიფო რანგში აიყვანონ, ნამდვილად კეთილშობილური და სამართლიანია. ხუხულასავეთ თავსდაქვეულ დიდი საბჭოეთის ქვეყნებიდან სწორედ უკრაინელები გამოიძვინენ სხვებზე ნაკლებ დაუშვებლად. ასე რომ, დასახული მიზნის მისაღწევად უნდა დავიწინაგოთ მარაქაში ერთიონ, ჩვენი არ იყოს (უფრო მეტადაც), სავსებით გამართლებულია. ახლა ის ვთქვათ, რა ხერხებით ცდილობენ უკრაინელები მიზნის მიღწევას.

სამწუხაროდ პოსტკომუნისტური აზრების ჩარჩებიდან ვერ ვერც ისინი გამოხლან (ამას თაობათა ცვლა სჭირდება). სამისოდ ერთი მაგალითიც გამოვლავა, რომელიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და იმპერატორულად ფეხბურთის ფედერაციის თავკაც ვალერი პუსტოვიტენკოს ჩვენს ციკე-პრეზიდენტთან საუბრისას თავი მოუწონებია. ყველა ილქის ხელმძღვანელს თავი მოუყვართ, პოლიტიკონზე მხედრულად ჩაცმულნი წავასხით და ვუთხარით, თქვენს გუნდებს თუ ფული შემოაკლდათ, იცოდლებთ აქ, ასეთ პირობებში შიმშილობა



დავით მუჯირმა და კომპანია რომი შეგვარცხენეს

მოიწვევით. ორი თავიც ვის ჰქონდა. მოკლედ, უკრაინელები დიდი ფეხბურთის პრობლემებს კლავინდებურად დირექტიული მეთოდებით, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით მაინც წყვეტენ. დიდი ფეხბურთი დიდი ბიზნესია. ასეთი მიდგომით კი ბიზნესის საკითხები არ წყდება. არც თავკომბლობის (სუპერ-ლუბის) პრინციპის დაუყრია ვინმეისთვის ხეირი. მაგრამ ერთი კია, ასე, ისე, უკრაინელებს მშვენიერი კლუბი და ნაკრები ჰყავთ და ეს ნაკრები (თუ კლუბი) ჩვენსას 4:0 უგება.

რეზულტატის „სარბილშივე“ მოგახსენეთ და ერთხელაც უნდა დავახსოვოთ, რომ, ცხადია, ჩემი აზრით, ეს მატჩი მწვერულთა ტაქტიკურმა შეცვლამ კი არა, შეხვედრისთვის მოსაზრებულად უკმადა ფაქტობრივად დღენახევარმა და მეტწილად ლეგიონერთა სუსტმა, უსულულო თამაშმა წაგვკვებინა ასე მწარედ.

**ჩვენი ოქრო სხვადასხვა**  
უკრაინელებზე ინფორმაციას კიევის „დინამოსა“ და ჩვენი ნაკრების მცველი კახა კალაძე მოგვანდობს — იმედებოდა ჩვენებურთა თავკაც ვლადიმერ გუცაევს. ცნობებისა რა მოგახსენოთ, ეს კალაძემ და გუცაევმა იცან. ერთი კია, კახა კიევი ისე ცნობილი და პოპულარულია, ლამის ყველგან მიესვლება, თავისი ეთქმის. რაც ამ ბიჭის შეძენას მოვანდობთ, აწი, ბურთს ფეხიც რომ არ დაჰკრას, მაინც ალაღალი — უთქვამს კიევი კლუბის პრეზიდენტ სურკისს თანამებობის თასის ფინალის გასრულებისთანავე კახა ფინალში მოსკოვის „სპარტაკის“ კარში გამარჯვების გოლის გატანისთვის უმალ შეიყვარეს და გასაკვირიც არ იყო, ნაგარჯიშვეს ფურცელ და კალამომარჯვებულმა ბავშვებმა კარგა ხნით ალყაში რომ მოაქციეს.

ესაც გვიან მენიშნა. ჩვენი კაცი, ისევე როგორც, სხვა ლეგიონერები სხვაბისთვის რევიანდ ირჯება. უკრაინის ბოლო ტურში კახამ პოლტავის „ვიორსკლასთან“ მატჩში კიეველთა გოლების ანგარიშზე კი გახსნა ნებისთი თუ უნდა იდებდ, ისე კი გამოვიდა, კიევი ჩვენი ფეხბურთის სახის დირსულად წარმოსაჩენად ვერაინ ვაკეთა რამე. ჩვენს გუნდში კაცს ვერ გამოარჩევდით, სხვებზე უკეთ, პა, მეკარეებმა, შევჩენკოს მურვე გელა შეყვადამე და შეცვლაზე აქტიურად შესულმა დემეტრადემ თუ ითამაშეს. მაგრამ, ვანა, ეს საქმარისა? ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, რომ არა.

სხვათაშორის თბილისში დილას გიორგი დემეტრადემ, სასტუმროს პოლში თავმჯდომარე ახალგაზრდულის მითამაშებებს რომ შეესწრო, რუსული გაზეთი „სპორტ გესპარესი“ მოიხელთა ბომბარდირების სუსხას ჩახედა და, აუ, ესენი სად გაქცეულანო, თქვა. ცხადია, მეგონელთა დავაში ორ მატჩში 7 გოლის გატანით ჩარეული დემეტრადემ ბომბარდირებაზე ფიქრობს. მაგრამ ჩვენებურმა რომც შეგვდოს, უკვე 16 ბურთის გამტარ როტორელ ოლე ვერეტნიკოვს რა უნდა მოუხერხოს.

დემეტრადემ „ალანისთვის“ ვააქვს, საქართველოსთვისაც სიმამრებით გაიტანდა, მაგრამ მის ახალგაზრდულ წყურვილს უკრაინელები ერთხელ მაინც ვაკერა ბუბუბუბ, მხარს არავინ, ან ვერაინ უბამდა.

**ახალგაზრდობა — იმედი ხვალის**  
ახალგაზრდები. აი, ვინ არ მოგვჭრა თავი კიევიმე, გვასახელესო, ვერც მათზე ვიტყვი, არ მოუკათ, უკრაინელ თანატოლებს მხოლოდ ბრილიანთა და უზადნენ. ახალგაზრდულების თამაშს, ცხადია, ვერ ჩავუსწარი და ჩვენი ბიჭების ნავაქცარზე აზრი ქართველთავე მონათხრობმა თუ უკრაინელთა საქმეარმა სიტყვებმა შემოქმნა. ერთი, რამაც მატჩამდევე დამამედა და ეროვნული ნაკრებისგან მოყენებული ტკივილის საფანელადაც გამოიჩინა, ახალგაზრდული ნაკრები იყო.

მეორე დილით გიგლა იმნაძის იტალიელი კონსულტანტის მიერ მატჩის გარჩევამ და ჩატარებულმა ძალების აღსადგენმა ვარჯიშმა, მეტი რომ არ ვთქვა, მომხიბლა. თითქოს, ბევრიც არაფერი, მაგრამ სანახევროდ უთარჯიმოდ მოთამაშებამდე მიტანლამა სათქმელმა, ვარჯიშთა სიმარტივემ მაგრამ სახალისობამ და სიცხადემ ბორა მილუტინოვიჩისა თუ დინო მოვის თანამშემდე ნამუშევარი რობერტო ლანდისადმი სიმპათიით განმსწყო. აღდგომა და ხვალე ჩვენი ახალგაზრდები საიმედო ხელში არიან და ჩვენი იმედისა მაინც გვიემედებოდეს, თუ დღევანდელი დღე ვერ ამართლებს და არ გვეწყალობს.

**მანბანზე ზეირამი**  
კიევი — თბილისი

**შორი გზა მოიარეო**  
თბილისიდან კიევიმე დიდრუსეთის დედაქალაქის გავლით ნაფრენს, მოსკოვ — კიევის საჰაერო მეტად ხალვათ რეისზე ახალგაზრდა უკრაინელი ბიზნესმენი დამეგზავრა. შინ ნიუ ორკიდან ბრუნდებოდა და ჩემი მივლინების მიზეზი რომ შეიტყო, გაიკვირვა, კიევი სულ ერთი კვირით დავტოვე, მაგრამ წასვლამდე ამ მატჩზე არაფერი მსმენიაო. ჩემი თანამგზავრი ფეხბურთის ტრფალი რომ არ იყო, მალევე მივხვდი, მაგრამ თუ მისი თანამოქალაქენიც ასევე ცუდად ინფორმირებულნი იქნებოდნენ ამ ისტორიულ მატჩზე, არ ვიფიქრებდი.

მოსკოვის გავლით და სულაც სამშაბათს მგზავრობა ნადრევედ დაუჭერელმა თადარიგმა მაიძულა. შაბათს უკლებლივ ყველა მსხვილ ტურისტულ სააგენტოსა თუ ავიაკომპანიათა წარმომადგენლობაში ერთი პასუხი ჰქონდათ: ორშაბათს თბილის — კიევის რეისზე მხოლოდ ბიზნეს კლასისა და დავრჩენია, აი, პარასკევს უკანა გზის ბილეთი კი, აღარ გვაქვს. თუ გარისკავთ, ბორისპოლის აეროპორტში, ეგებ, ვაგზანაც დავხვედეთ. რა ვქნათ, რეისებზე ვგვუფი ვეიზისო. ქართული ფეხბურთის 54-კაციან დელეგაციას გულისხმობდნენ, ცხადია. მოკლედ, ნაკლებ სარისკო თუ ნაღდი ვარიანტი მხოლოდ ორშაბათს ვაკვავა „არგოტურმა“.

სავარძლის მეზობელს, ძველ, თბილისელ ახლობელთა გახსენებით მალევე რომ გავეცანი, ვიხსენებ, სასტუმრო „სპორტის“ გზა ესწავლებინა. არ დამზარებია, თუმცა რაღას ვიხსენი, მეც იქვე ორიოდ კილომეტრში ვცხოვრობ, გზაც იქით მაქვს და ქალაქამდეც დავიმგზავრებო. სადღედაძისო ავტოსადგომზე დატოვებულ საკუთარ ავტომობილს, თქვენ წარმოიდგინეთ, ყველ შუშა, სარკე, საბურავი ადვილზე და მთელი აღმოაჩნდა. არც სასვე ბაკის შეთხელება უფიქრია ვინმეს და თუ მაინც უფიქრია, ამის საშუალება არავის მიუცია. და ეს სულ რაღაც 5 დოლარად დამეძინა. საკმაოდ ძვირი, მაგრამ საქმიანი კაცისთვის ზედგამოჭრილი სამიწინება.

ქალაქს განაწინა ორივე, იქნებ, ქვეყანასაც კაცი აეროპორტიდან ეცნობა. ბორისპოლის აეროვავხალი არცთუ შთამბეჭდავი, მაგრამ ევროპულ სტანდარტებით დიდად მიახლოებული ნაგებობაა. ერისაათიანი მგზავრობის შემდეგ დაფრენილ ხომალდთან ტრაპის მოახლოებას ამოდ ველოდი. ერთი ფრთიანი გამოთქმის არ იყოს, თუ ტრაპი არ მოვიდა თვითმფრინავთან, თვითმფრინავი უნდა მისულიყო ტრაპთან და მიადგა კიდევ იმ კორიდორს, რომლითაც პირდაპირ შენობაში, უფრო უსუსტად კი საბაჟო კონტროლის პოლში მოვხვდით.

ნებისმიერი აეროპორტი ქალაქის განაპირას, ან სულაც მოშორებითაა. კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი, რაც ქალაქთან (ქვეყანასთან) პირველ ნაცნობობას შეგაძლებინებს, გზაა. ჩვენებურ ოღო-ჩოლოებს დამეველს 20-კილომეტრზე უნაკლიდ გაჭიმული ავტობანი, თუ არ გამოკვირდებოდა, აბა, როგორ არ შემშურებოდა, მაგრამ ამხელა ტრასაზე რომ არცერთი შუქნიშანი და საგზაო პოლიციელი შეგვხვედრია, ამან კი გამაოცა. აღარაფერს ვამბობ, რაივ სუფთა და მოწინააღმდეგეული ქალაქია კიევი. იქაც არის ბაზრობები და ღია ბარები, მაგრამ დილაუთენია დავვეულ ქუჩაში ძირსდავარდნილი პურის ნატეხის ადგა მხოლოდ მათხოვარს როდი არ ეხამუშება.

# ხალხის სიხარული

არა, არავის ეგონა გარინა გვყავს მხედველობაში. ამ წერილის გმირი გარინა არ განსაკუთრებული ხომ ხალხმა თვითონვე შეარქვა თავის მართლაც და სიხარულს და არც არავინ ამართლებდა ისე თავის თიკუნს, როგორც დიდი ბრაზილიელი ჯადოქარი — ცხოვრებაში უბრალოდ — მანე.

ჩვენი წერილის გმირიც ერთი უბრალო კაცია — უბრალო ქართველი ფეხბურთელი, რომლის კარიერას არც თავებრუნებულმა ზესვლა ახასიათებს, არც მისი ვიდეო-მონაპოვები ჭრის ვისმე თვალს, ცნობითაც საფეხბურთო საქართველო თუ იცნობს რიგინად და მაინც ეს კაცი ხალხის სიხარულია, ქართველი ხალხისა, აგრეთვე რომ მონატრებია დიდი ფეხბურთი.

მოგვიტყვოს დიდი მანე ანდრეა, იქნებ მკრეხლობაცაა მისი და მხოლოდ მისი თიკუნის ასე უცერემონიოდ გადმოქართულება, მაგრამ ჩვენ ბრაზილიელი ხალხის სიხარულთან რა ხელი გვაქვს, ჩვენ ჩვენი გვიხარია და ის ქართველი ფეხბურთელიც, ვისხედაც ეს წერილი იწერება ხომ ჩვენი სიხარულია და ჩვენი.

მავანი იმაშიც შეგვედგება, სად გარინა და სად უბრალო ქართველი ფეხბურთელი, მაგრამ პასუხიც მზად გვაქვს — სად ბრაზილია და სად „ჯორჯიან ფუტბოლი“, პატრიზმი, მით უმეტეს, სად მაშინდელი ბრაზილიური „4-2-4“ და სად ახლანდელი ქართული ფეხბურთი. ზუსტად იმდენი განსხვავებაა ბრაზილიელ და ჩვენებურ „ხალხის სიხარულს“ შორის, რამდენიც ბრაზილიურ და ქართულ ფეხბურთებს ამორებს. ამოღენა შესავალს უპრიანია სათქმელიც მოჰყვეს და აჰა, ვამბობთ ჩვენს „ხალხის სიხარულს“ გიორგი დარასელია ჰქვია — უბრალოდ ტუკუ.

გიორგი დარასელია იმ გაიდის მოთამაშეთა რიგს განეკუთვნება, ვისაც ბავშვობიდანვე დიდ საფეხბურთო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. პირადად ამ წერილის ავტორისა და გიორგის ნაცნობობაც საფეხბურთო მოედანზე შედგა და უკვე მაშინაც თვალნათლივ ჩანდა, ტუკუს ფეხბურთელობა რომ მხოლოდ დროზე და იბაზზე კეიდა. მაშინ კი დაქროდა მწვანე მაისურიანი მეთე ნომერი მოედანზე და სასწაულებსაც სჩადიდა. ბავშვურ ფეხბურთს თამაშობდა იმ დროს ტუკუ და მოდიო, ამ ბავშვური ვუწოდოთ. ასე იყო, თუ ისე, სახარეს კოჭებში ეტყობოდა და სენაკში დიდი ფეხბურთელი იხრებოდა — მალე მოედო ქართულ საფეხბურთო წრეებს. მერე იდინა ფაშა და ტუკუმ ერთ დღეს „ტორპედოს“ მაისურიც მოირგო. იმ დროისთვის ეს არ იყო ზემორბა საქმე. ისიც ყველას მოეხსენება, რაოდენ დიდ სიხარულს წარმოადგენდა მაშინ საქართველოს მთელი გუნდში მოხვედრაც კი და ტუკუს მაგალითი ნათელი დასტურია იმისა, რომ ნიჭი არ იკარგება. დიას, აქ ჰქმნა მარტო საფეხბურთო მონაცემებზე გვაქვს ლაპარაკი და ტუკუმაც ყოველგვარი გვერდმდგომის და ზემდგომის დახმარების გარეშე შეძლო მთელი ქუთაისური კვართი.

საერთოდ დარასელიას დარ ფეხბურთელებს „თავისუფალ მსატრებს“ უწოდებენ, ასეთ მოთამაშეებს მწვრთნელები, როგორც წესი, დავალებით არ ტვირთავენ და შავ სამუშაოსაც მეტწილად სხვები ასრულებენ. ისინი თავიანთი ფინტებით (ტრიუკებითაც) გამოზომილი პასებით და მოულოდნელი აფეთქებებით სიმწვანეს და სილამაზეს მატებენ ფეხბურთს და მათი როლიც ამაღლა განუზომელი. ამიტომაცაა მსოფლიო ფეხბურთის ისტორია სწორედ იმ ამპლუის ფეხბურთელებს უფრო აფასებს, გამოამაშებელი (კონსტრუქტორი, პლემიერი უწოდებენ, რაც გნებავთ) რომ ჰქვიათ, ხალხსაც დი სტეფანო, პელე, მარადონა, პლატინი, ზიდანი უჯობს სხვა რა გინდა რა ფუნქციის ფეხბურთელებს. ტუკუმაც უმაღლესად ქუთათურებს თავი,

ვინ იცის, რამდენი ტაში მოუწვევია ტრიბუნებიდან მის „სოლოს“ — რეიდს, დარტყმას თუ საგოლე გადაცემას.

ქართულ ფეხბურთში ყოველთვის ასე ყოფილა — პროვინციელი ფეხბურთელი ჯერ „ტორპედოს“ სკოლას გაივლიდა და ამის მერედა ხვდებოდა „დინამოში“ (ყოველ შემთხვევაში, უმეტესწილად ასე ხდებოდა). ტუკუმაც გამოიყენა ქუთაისური ტრამპლინი და ერთ დღეს „დინამოს“ ფეხბურთელად მოგვევლინა. სიხარულით და ტაშით შეხვდა ეროვნული სტადიონის ტრიბუნები ახალ ფეხბურთელს. ამას არამარტო მისი თამაში, გარკვეულწილად გვარიც განაპირობებდა. ვიტალი დარასელიას გარდაცვალების შემდეგ გვარი „დარასელია“ ერთგვარი მოწიწების სიმბოლოდაც კი ექცათ ქართველ გულშემატკივრებს და ამ პირველი ტაშით არამარტო ტუკუს ოსტატობას, ვიტალის ხსოვნასაც მიაგებს პატივი. თბილისურ დეპუტატს რაც შეეხება, ყოველგვარი რიხის და ზარ-ზეიმის გარეშე ჩაატარა გიორგიმ და იმ შეხვედრაში ერთადერთი პასი გააკეთა ისეთი, გულშემატკივრის მოლოდინს რომ ამართლებდა. გააკეთა და ტაშიც დაიმსახურა.

თბილისის „დინამოში“ გიორგი დარასელიას თამაში იმ პერიოდს დაემთხვა, მთლად კარგად რომ ვერ მისდიოდა საქმე ქართულ ფეხბურთს. ქვეყნის პირ-

ვითი, ჩვენი ფეხბურთისთვის უცხო ფაქტიც სდევს თან ტუკუს პიოგრაფიას — ქართული კლუბების სიღუბნიდან გამოდინარე, ორჯერ-სამჯერ მასაც მოუხდა გუნდის გამოცვლა, მაგრამ მეტოქის პანკში გადასვლის დროსაც კი არ უსტყვინია ხალხს დარასელიასთვის და ფოთელი, სამტრედიელი და ქუთათური გულშემატკივარი მოწინააღმდეგის გუნდში მოთამაშესაც ისევე უმურველად უკრავდა ტაშს, როგორც თავის გუნდში გამოსვლის დროს. ეს უბრალოდ, პაერზე არ ხდებოდა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, მაყურებელი მხოლოდ ფეხბურთით არ იფარებოდა და არანაკლებ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიოგრაფიას. ტუკუს უბრალოება, სილაღე, კაიკაცობა კლასიკური გაგებით და უკონფლიქტო ხასიათი მიხედვით ფეხბურთზე ნაკლებ როლი მოსწონდა გულშემატკივარს. მის პიოგრაფობასაც გარკვეულწილად პიოგრაფიული თვისებები განსაზღვრავს.

დარასელიას მატჩის განმავლობაში (თუკი მისდის თამაში და ეს არცთუ იშვიათად ხდება) მატჩის უპირა შეხვედრის სადავებები, იგი იწყებს თითქმის ყველა შეტევას, ასრულებს თითქმის ყველა საჯარიმოს და შორად აკვირვებენ კიდევ კომბინაციას. არ შეიძლება, კაცს დაგვიწყდეს მისი თამაში ფოთში მინსკის „დინამოს“ წინააღმდეგ მაშინ ხომ ყველაზე ნათლად წარმოჩნდა, რა შეუძლია ტუკუს.

ტუკუსდარი ფეხბურთელების ჭირი ის არის, რომ ფიზიკური მონაცემების და



გიორგი დარასელიას არც ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნება უთავილია

ველი გუნდის წარამარა იცვლიდა მწვრთნელებს, შემადგენლობას, ბერმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა დაამთავრა მაშინ კარიერა, მიატოვა ფეხბურთი და სხვა საქმეს ეწია. ერთეულებსლა შერჩათ იმის ხალისი, ბოლომდე მიჰყოლოდნენ ბურთის თამაშს. ტუკუმაც თავის თავზე გამოსცადა გარკვევლობის (სხვანაირად გარდამავალი პერიოდი რომ ჰქვია) სიმწარე, მაგრამ არ დანებდა და კვლავ „ტორპედოს“ დაუბრუნდა. მის ლამაზ ფეხბურთს დანატრებულმა მაყურებელმაც კვლავ ძველებური სიხარულით მიიღო საფარული ფეხბურთელი. ხალხის განწყობა კი ცვალებადია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ტუკუ იმ იშვიათთაგანია, რომელსაც თან სდევთ კეთილი აურა, არა მხოლოდ სპორტული ან საფეხბურთო, წმინდად ადამიანური, და რომელიც წამსვე კეთილად განგაწყობს მოცემული პიროვნების მიმართ და ზოგჯერ რომც არ მოგეწონოს კიდევ მისი რაიმე, წყენას არ აგრძნობინებ. ტუკუს, ისევე როგორც ნებისმიერ ფეხბურთელს, ჰქონია ჩავარდნები, მეტიც, ზოგჯერ მთელი მატჩიც კი მდგარა, მაგრამ კეთილგანწყობილ მაყურებელს მისთვის არ უსტყვინია.

ეროვნულმა ჩემპიონატმა სრულად წარმოაჩინა გიორგი დარასელიას პოტენციალი. არა, ის არ გაზარდილა როგორც ფეხბურთელი, ვერც გაიზარდებოდა — სამწუხაროდ, ჩვენი ჩემპიონატი სსრკ-ს პირველობასთან შედარებით არ აღმოჩნდა წინ გადადგმული ნაბიჯი, მაგრამ ერთი რამ კი მოხდა — იგი ლიდერად ჩამოყალიბდა. სადაც კი არ ითამაშა, ტუკუ ყველგან ლიდერი გახლდათ — ქუთაისშიც, ფოთშიც, სამტრედიისშიც. ხალხს ძველებურად უდიდეს სიხარულს და კმაყოფილებას ანიჭებდა მისი თამაში და ტაშითაც ძველებურად გულუხვად ასაჩუქრებდა.

კონდიციების გამო ისინი ვერ ერგებიან თანამედროვე ზემდგომ და ზესწრაფ ფეხბურთს, ანუ „ვერ ჯდებიან სქემში“. ახლანდელ მწვრთნელს ურჩევნია ორი-სამი „მორბენალი მანქანა“ ჰყავდეს გუნდში, ვიდრე „თავისუფალი მსატრეების“ ექსცესები ითმინოს. ამაღლა, გიორგის (და ბერს მისნაირსაც) დიდი პერსპექტივა რომ არ უჩანთ საზღვარგარეთ. შეიძლება ითქვას, საუკეთესო სეზონი გალია ტუკუმ ისრაელში, მაგრამ თელ ავივის „ჰაპოელი“ მაინც ვერ იქცა საევროპო ტრამპლინად მისთვის.

წლებადღელი სეზონი კვლავ სამტრედიელ გუნდში დაიწყო ტუკუმ, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, დროებით. დარასელიათი ცნობილი უცხოური კლუბები ყოფილან დაინტერესებულნი. დემერტა ქნას, ასეც მოხდეს და რომელიმე საშუალო ევროპულ გუნდში მაინც ვიხილოთ და ეს თუ ასე იქნება, ეჭვი ნურავის შეგეპარებათ, ტუკუ იქაც იტყვის თავის სათქმელს, იტყვის ჩემად, უპრეტენზიოდ, მაგრამ ლამაზად, ისე როგორც ჩვევია, როგორც მაყურებელი მიაჩვია.

მისი, როგორც ფეხბურთელის დონეს და ავტორიტეტს კი მისივე ყოფილი თანაგუნდელის ნუგზარ მიქაბერიძის მსგავსად ვერავინ გადმოცემს „ტურას“ მონათხრობი „იოლხეთი“ — მინსკის „დინამოს“ მატჩს ეხება — მინსკელთა კარში ერთ-ერთი გოლი ტუკუს პასით გაიტანა. სხვას, ვისაც არ უნდა მოეცა ეს პასი, შანსი არ იყო დაუდევრებოდი, იმდენად შორს მომეჩვენა ბურთი, მაგრამ ტუკუს პასი იყო და უფრო ამიტომ გაეკიდე, ვიცოდი უტუკოს არაფერს ჩაიფიქრებდა გამიმართლა. დანარჩენი მკითხველმა თავად განსაჯოს, ჩვენ კი ამით დავამთავრებთ: აი, ასეთია ტუკუ — ხალხის სიხარული.

კონსტანტინე გოგიშვილი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიგელოვანი ნაბრბო სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის“ გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამოჩნეულები გამოავლინოს!

„სარბიელის“ გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზუთიდან ამოჭრილი ანკეტი (ან „სარბიელში“ მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რეგულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელი“ დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზუთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თავალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

„სარბიელის“ რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი

- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_

საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი

- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_

საქართველოს ყველა დროის სიგელოვანი ნაბრბო

- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_
- \_\_\_\_\_

სახელი \_\_\_\_\_

გვარი \_\_\_\_\_

ასაკი \_\_\_\_\_

პროფესია \_\_\_\_\_

მისამართი \_\_\_\_\_





# გოლის გატანა ყოველთვის მოხერხდება

ჩემპიონთა თასის დღეს პირველი გუნდები ემსხვერპლებიან, მსხვერპლად კი შესაძლოა, პოლანდიური „ეინდჰოვენი“ და ფრანგული „მეცი“ მოგვევლინონ.

მართალია, შეჯიბრების მეორე შესარჩევ ეტაპზე დამარცხებული უფროსი თასზე გადასვლა აქვთ გარანტირებული, მაგრამ მათი უმთავრესი სურვილი, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონთა ფეხბურთელური ლიგის 16 გუნდს შორის მოხვედრა გახლავთ.

მაშინ, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედს“, „ინტერს“, „ბენფიკას“ და „ბაიერნს“ ბარიერი ფაქტობრივად იოლად გადალახული აქვთ, პოლანდიისა და საფრანგეთის წარმომადგენლები მსუქუბ-წონისან მოწინააღმდეგეებთან ძნელად კიბობენ.

„მეცი“, როგორც ჩანს, დიდ გასაჭირშია. მას პირველ შეხვედრაში ფინეთში „ჰელსინკისთან“ 0:1 აქვს წაგებული. მართალია, თეორიულად ფრანგულ გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე ფინურს, მაგრამ სინამდვილე გვეუბნება, რომ „მეცს“ ბოლო ოთხ შეხვედრაში ერთი გოლიც არ გაუტანია.

საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი ტრავმებამ დაასუსტა, თავდამსხმელი ბრუნო როდრიგესი კი დისკვალიფიცირებულია. რაც შეეხება გუნდის მეორე ფორვარდს, იუგოსლავიელ ვლადან ლუკინს, მან ახლა კვირას, ვარჯიშზე ბარძაყი დაიზიანა, მაგრამ ვინაიდან ფრანგებს სხვა გამოსავალი არა აქვთ, ლუკინი მოედანზე გავა.

ეროვნული პირველობის ბოლო ტურში „მეცს“ კორსიკაზე „ბასტიასთან“ 0:3 წააგო. ამასთან დაკავშირებით გამოამა-შებლმა ფრედერიკ მერიომ განაცხადა:

— ეტყობა, ჩვენ „ჰელსინკისზე“ ფიქრმა გადაიტაცა. ვგონებ, ფსკერზე დავეხდეთ და ახლა სხვა გზა აღარ გვაქვს, გარდა წინ სიარულისა.

პოლანდიის ვიცე-ჩემპიონი „ეინდჰოვენი“ პირველ შეხვედრაში სლოვენის „მარიბორთან“ დამარცხდა 1:2. „მეცისა“ არ იყოს, ეს გუნდიც ტრავმებისგანა გაწამებული და შინაურ სარბიელზე უსახურად გამოიყურება. ბოლო ტურში „ეინდჰოვენი“ პირველი დივიზიონის ახალ ბინადართან, „კამბურთან“ მხოლოდ 1:1 ითამაშა.

ბილბოს „ატლეტისკს“ თბილისის „დი-ნამოსთან“ 1:2 წაგება აქვს გამოსასწორებელი. ბასკთა გუნდი ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელების იულენ გერე-

## ჩემპიონთა თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საბოლოო მატჩები



ორი კვირის წინ: კიეველი ანდრეი შევჩენკო ბრალის „სპარტას“ მცველს მარტინ ჰამეკსა და მეკარე ტომაშ პოსტულკას უტყვის

როსა და ხოსება ეჩებერიას დაბრუნებით გაძლიერებული ითამაშებს.

ორივე მოთამაშე მოედანს გასულ კვირას, „რომასთან“ ამზანაგურ, წარმატებულ შეხვედრაში დაუბრუნდა. ასე რომ, ახლა ბილბაოელებს ერთადერთი საწუსარი, რობერტო როისის ჯანმრთელობა აქვთ.

თბილისში დამარცხებამ „ატლეტისკი“ ერთადერთი გოლის გატანით გამარჯვების შესაძლებლობის წინაშე დააყენა, მაგრამ თავდამსხმელმა სანტიავო ესკერომ გულშემოტკივრები ასე გააფრთხილა:

— ოთხშაბათს მოთმინება გემართება. თუ გოლი ხელაღვე ვერ გავიტანეთ, არა უშავს, მოგვიანებით მივადწვით მიზანს.

მიუნხენის „ბაიერნს“ ბულგარდის „ობოლითან“ 4:0 აქვს მოგებული. „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ბოლო ტურშიც შიამბეჭდავდა და თამაშობდა, „დუისბურგს“ 3:1 მოუგო, მაგრამ მთლად უპრობლემოდ არც ბავარიელები არიან. მწვრთნელს, ოტმარ ჰიფელს განკარგულებაში კვლავ არ ჰყავს ნახევარმცველი მეკმეთ შოლი და განული მცველი სამუელ კუფური — ორივე ტრავმირებულია. ბოლო წამს კი ამ

დღეებს კიდევ ერთი წყვილი შეემატა: ნახევარმცველი მარიო ბასლერი და მცველი მარკუს ბაბელი.

ბასლერმა და ბაბელმა წვივები იტყინეს და საექიმო შემოწმების შემდეგ მათ რამდენიმე დღიანი დასვენება გამოუწერეს.

ლისაბონის „ბენფიკას“ იერუსალიმის „ბეთლემთან“ საბასუხო შეხვედრის წინ ექვსგოლიანი უპირატესობა აქვს მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალიელთა გუნდის ინგლისელი თავდამსხმელი, ბრანდინი ტრავმირებულია (ეროვნული ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში „მეტრელა ამადორასთან“ დაშვდა), ცხადზე უცხადესია, რომ ის ლიგაში თავის აუტკივებლად გავა.

როგორც ამბობენ, „ბენფიკას“ შოტლანდიელი მწვრთნელი, გრემ სუნესი დინის ნაცვლად გომეშს ათამაშებს.

მილანის „ინტერი“ ლატვიურ „სკონტოსთან“ მოგებული 4:0-ით ჩავა რიგაში, ინგლისური პრემიერლიგის ვიცე-ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი პოლონეთის ქალაქ „ლომს“ 2:0-ით სტუმრობს. მიუხედავად იმისა, რომ „იუნაიტედს“ ქვეყნის ახალ ჩემპიონატში ვერჯერობით საქმე დიდებულად არ მიუღის (გუნდმა ორი ფრე ითამაშა), „ლომთან“ ორბურთიანმა უპირატესობამ მას წესითა და რიგით დიდად უნდა არგოს.

### ოზინი ზაინი როიტერი

## ხუთშაბათს და პრა პარასკევს

თავიდან ასე იყო: ოთხშაბათობით ევროთასების შეხვედრები იმართებოდა, პარასკევს კი უფა მომდევნო ეტაპის წყვილთა ვინაობის არკვევა — წილისყრას მართავდა. 90-იან წლებში, როდესაც კონტინენტს ჩემპიონთა ლიგა ეწვია და მის ფონზე უფასა და თასების თასის საინტერესო შეჯიბრებები ჩრდილში მოექცა, ევროთასებმა დღევანდელაინაწილეს, სამშაბათი უფას თასს ერგო, ოთხშაბათი, ტრადიციული დღე, ჩემპიონთა ლიგას დარჩა, ხუთშაბათი კი თასების თასს გადაულოცეს. კენჭისყრა ისევ პარასკევსა გახლავთ. და, აი, ჩემპიონთა ლიგამ მორიგი სიახლე შეა: ჩემპიონთა ლიგის წილისყრა ხუთშაბათს მოეწყო.

მაშ ასე, ხვალ და არა ზეგ, მონაკოში, და არა შევიცარიში (უფას შტაბ ბინაში), ევროპული ფეხბურთის თავკაცები კალათაში ხელს ჩაყოფენ და იქიდან ამოიღებენ ევროპულ ქომაგთათვის დღეისათვის ყველაზე საინტერესო ინფორმაციას: ვინ ვისთან განაწილდება ლიგის ჯგუფებში.

მონაკო წილისყრის ადგილად იმიტომ აირჩიეს, რომ მეორე დღეს, 28 აგვისტოს, აქ, ევროპის სუპერთასისთვის თასების თასის მფლობელი ლონდონური „ჩელსი“ და ჩემპიონთა თასის მფლობელი მადრიდის „რეალი“ შეებრძოლებიან ერთმანეთს.

უფასს და თასთა თასის წყვილების ამბავს კი ტრადიციულად პარასკევს შეეცვლება.

# სარბიელი სპორტული ლაზარია "CROCO"

## უფას თასი

27 აგვისტო

ისტანბული — არჯეში	(2,0-1,5)	1,35	3,8	7,0
--------------------	-----------	------	-----	-----

## ჩემპიონთა თასი

26 აგვისტო

ობილინი — ბაიერი	(25,0—)	2,5	2,9	2,5
ბრიუვე — რუსენბორგი	(2,8-1,3)	1,6	3,2	5,0
ლკს — მანჩესტერი	(25,0—)	2,8	2,9	2,3
სპარტაკი (რუსეთი) — ლიტვესი	(—25,0)	1,3	4,0	7,5
გრასპოპერი — გალათასარაი	(1,7-1,7)	1,7	3,0	4,7
კროაცია — სელტიკი	(1,7-1,7)	1,7	3,0	4,7
ენდჰოვენი — მარიბორი	(1,1-5,0)	1,1	6,0	12,0
სპარტა — დინამო (უკრაინა)	(1,25-3,1)	2,0	3,0	3,3
ბრონდბიუ — კოპიეცე	(—25,0)	1,6	3,2	5,0
სკონტო — ინტერი (იტალია)	25,0—	4,4	3,1	1,7
ანორთოსისი — ოლიმპიკოსი	(3,1-1,25)	2,8	2,7	2,4
ბეთთარი — ბენფიკა	(25,0—)	2,5	2,9	2,5
ბილბაო — დინამო (საქართველო) ანგარიში	— 5,0			
მეცი — ჰიკ	(1,15-4,0)	1,15	5,6	10,0
უიპეშტი — შტურმი	(25,0—)	2,3	2,9	2,8
პანათინაიკოსი — სტიაუა	(1,15-4,0)	1,5	3,6	5,0

## თასების თასი

27 აგვისტო

კონსტანტინოპოლი — რუდარი	(4,0-1,15)	2,0	2,9	3,4
ჰელსინბორგი — ვალუცი	(—25,0)	1,01	10,0	20,0
ცემენტი — ლოზანა	(25,0—)	4,7	3,0	1,7
ცსკა (უკრაინა) — კორკ სიტი	(1,35-2,5)	1,35	3,8	7,0
აპოლონი — ევრანასი	(1,05-7,5)	1,3	4,0	7,5
გენკი — აპოლონია	(—25,0)	1,1	6,0	12,0
ჰაკა — ბანგორ სიტი	(1,01-15,0)	1,2	5,0	9,0
ვიტეპსკი — ლევსკი	(25,0—)	2,4	2,9	2,6
კეფლავიკი — ლიეპაია	(1,7-1,7)	1,4	3,6	6,5
რაპიდი (რუმინეთი) — გრევენმასერი	(—25,0)	1,1	6,0	12,0
ჰართსი — ლანტანა	(—25,0)	1,1	6,0	12,0
ჰიბერნიანი — ამიცა	(25,0—)	4,4	3,1	1,7
მტკ — გოლუ	(—25,0)	1,05	8,0	14,0
მაკაბი — გლენტორანი	(1,01-15,0)	1,2	5,0	9,0
სპარტაკი (სლოვაკეთი) — ვარდარი	(1,05-7,5)	1,35	3,6	7,5
ყარაბაზი — კოპენჰაგენი	(25,0—)	6,5	3,6	1,4
ბათუმი — პარტიზანი	ანგარიში — 5,0			

ფსონები მიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა მ-დან 16 საათამდე

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცლების ქუჩის მხრიდან;

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმასრულებლის გამზირზე

№67 გლდანა I საეკურო ცენტრი

№63 ვარკეთილი I მკარობაში „კროკოს“ ბიურო გაუქმებულია.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორასლის (ყოფილი ცხაკაის) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთაველი — კინოთეატრი „რუსთაველი“, XVI მკარობაში 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.



თურქული „გალათასარაის“ მეკარე, ბრაზილიელი კლავდიო ტაფარელი გუნდის ციურინში „გრასპოპერთან“ სათამაშოდ ემზადებოდა

